ფსიქიკური ჯანდაცვის სოციალური მუშაკის სამუშაოს აღწერილობა[1]

თანამდებობა	სოციალური მუშაკი
სტრუქტურული ერთეული	სტაციონარი, ამბულატორია
უშუალო ხელმძღვანელი	----------
ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული პირი	
მიზნობრივი ჯგუფი/ბენეფიციარი[2]	1. ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები და მათი ოჯახები 2. ნივთიერებაზე დამოკიდებული პირები და მათი ოჯახები 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახები
საქმიანობის ძირითადი სფეროები:	1. მიზნობრივი ჯგუფის ბენეფიციარების იდენტიფიცირება, მათი ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შეფასება და საჭიროებების განსაზღვრა; 2. მიზნობრივი ჯგუფის ბენეფიციარებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრებისათვის სხვადასხვა საკონსულტაციო დახმარების გაწევა, მათ შორის კრიზისული ინტერვენცია, სოციალური რეაბილიტაცია, ყოველდღიური სასიცოცხლო უნარების სწავლება-ტრენინგი, უფლებებში გათვითცნობიერება და ადვოკატირება; 3. მიზნობრივი ჯგუფების სოციალური მომსახურებებით უზრუნველყოფის მიზნით შიდაუწყებრივი და უწყებათაშორისი კოორდინაცია; 4. მეურვეობა/მზრუნველობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით; 5. შშმპ პირის ძალადობისა და უგულვებელყოფისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება; უფლებათა დაცვა.

ძირითადი საქმიანობა

- მიზნობრივი ჯგუფის ბენეფიციარების იდენტიფიცირება (მოძიება) ოჯახში/თემში ვიზიტების საშუალებით, პირველადი შეფასება და მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;
- შემოსული განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის მიღება, შესწავლა და რეაგირება;
- ბენეფიციარის შემთხვევის მართვა მოძიებიდან/მომართვიდან მომსახურების დასრულებამდე, მიღწევების/შედეგების მონიტორინგი და შეფასება; კერძოდ:

---

[1] წინამდებარე აღწერილობა წარმოადგენს ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკის საქმიანობის ზოგად მონახაზს და ექვემდებარება დამსაქმებლის მიერ მოდიფიცირებას.

[2] ტექსტში გამოყენებულია ტერმინი „ბენეფიციარი“ სამივე მიზნობრივი ჯგუფის აღსანიშნავად.

- ბენეფიციარის ბიო-ფსიქო–სოციალური მდგომარეობის შეფასება, მომსახურების საჭიროების განსაზღვრა და არსებულ მომსახურებებთან დაკავშირება/გადამისამართება;
- შემთხვევის მართვისთვის საჭირო შიდაუწყებრივ და უწყებათაშორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა და შედეგების მონიტორინგი;
- ბენეფიციარისთვის და მისი ოჯახისთვის მუდმივი მონიტორინგის უზრუნველყოფა მისი მდგომარეობის შემოწმების/გადამოწმების მიზნით; ოჯახის და ბენეფიციარის კონსულტირება და საჭირო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.
- ბენეფიციარის ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობა.

- მიზნობრივი ჯგუფის ბენეფიციარის კონსულტირება, კრიზისული ინტერვენცია, სოციალური რეაბილიტაცია ან სხვა დახმარების (ინტერვენციის) გაწევა თერაპიული დახმარების მიზნით;
- მულტიდისციპლინურ ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობა ბენეფიციარისთვის მომსახურების მიწოდების ყველა ეტაპზე;
- ბენეფიციარის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე გაწერის (discharge) დაგეგმვა და განხორციელება;
- მიზნობრივი ჯგუფის ბენეფიციარების მეურვეობისა და მზრუნველობის ზედამხედველობის პროცესის წარმართვა და მონიტორინგი სოციალური მომსახურების სააგენტოსთან კოორდინაციით;
- თითოეული შემთხვევის შესახებ დოკუმენტაციის წარმოება;
- ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით საინფორმაციო ხასიათის გასვლითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

სამუშაო ადგილი და პირობები

დაწესებულებაში საჭიროა იყოს გამოყოფილი ფართი, რომელიც ბენეფიციართან საუბრისას კონფიდენციალობის დაცვის საშუალებას იძლევა (უზრუნველყოფილია საოფისე ავეჯით, საკომუნიკაციო საშუალებითა და პერსონალური კომპიუტერით). სოციალურ მუშაკს ხელი უნდა მოუწვდებოდეს დაწესებულებაში არსებული ნებისიმიერი დეკუმეტიციისადმი ბენეფიციარის შესახებ (დოსიე, ანამნეზი, სხვა სპეციალისტების შეფასება, ა.შ.)

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

აუცილებელი:

- უმაღლესი განათლება სოციალურ მუშაობაში ან სხვა მონათესავე სფეროში;
- შეზღუდული შესაძლებლობის ბენეფიციარებთან მუშაობის გამოცდილება;
- სტრესულ გარემოში მუშაობის უნარ–ჩვევები;
- წერითი და ანალიტიკური უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარები;
- კომპიუტერის საოფისე პროგრამებში მუშაობის უნარი;
- შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და რესურსების ცოდნა.

სასურველი: ---------- (დამსაქმებლის პრიორიტეტების შესაბამისად)

სოციალური მუშაკი დაკისრებულ ვალდებულებას ასრულებს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის შესაბამისად.